

ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა  
საკითხისათვის\*

ვასილ ბარნოვის რომანებისა და მოთხრობების ენა და სტილი ენათმეცნიერული თვალსაზრისით ჯერჯერობით სპეციალურად შესწავლილი არ არის. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში კი ამ საკითხზე არაერთგზის გამოთქმულა გარკვეული შეხედულებები. ეს შეხედულებები მეტ-ნაკლებად ერთგვარი ხასიათისაა და, როგორც ჩანს, უფრო ზოგად შთაბეჭდილებებს ემყარება, ვიდრე ვასილ ბარნოვის რომანებისა და მოთხრობების სტილის სპეციალურ გულდასმით შესწავლას, საბოლოოდ ყველა, ვისაც კი აზრი გამოთქვამს ვასილ ბარნოვის მოთხრობა-რომანების ენისა და სტილის შესახებ, ერთ საერთო დასკვნამდე მიდის: ვასილ ბარნოვის სტილი არქაულია, ვასილ ბარნოვის ენა და სტილი მოწყვეტილია XIX საუკუნის მწერლობის ენასაც კი და ძველი ქართული მწერლობის, კიდევ მეტი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენას უკავშირდება; ვასილ ბარნოვი ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენობრივ-სტილებრივი ტრადიციების აღმდგენად გვევლინება ქართულ პროზაში.

ამასთან, შენიშნულია, რომ ვასილ ბარნოვის რომანები და მოთხრობები, თუ ყველა არა, დიდი ნაწილი მაინც, მთელი პასაჟები ამ რომანებიდან და მოთხრობებიდან, რიტმული პროზითაა დაწერილი. ეს რიტმული პროზა ბევრ შემთხვევაში ახლოს დგას თოთხმეტმარცვლოვან ლექსთან, თეთრ ლექსს წარმოადგენს. ეს ფაქტიც ვასილ ბარნოვის არქაისტობის დამადასტურებელ არგუმენტადაა გამოყენებული: ვასილ ბარნოვის პროზისათვის დამახასიათებელი ეს სტილებრივი ნიშანი ძველი ქართული სასულიერო მწერლობიდან მომდინარედაა მიჩნეული.

ასეთი აზრი გამოთქვა, მაგალითად, სიმონ ჩიქოვანმა 1934 წელს ვ. ბარნოვის მოთხრობათა კრებულის „ფერად-ფერადის“ წინასიტყვა-

\* ივ. გვიგენიშვილის ეს ნაშრომი დაწერილია ამ ოცდაათი წლას წინათ მწერლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ხელნაწერი იმთავითვე ვიზირებულ იყო დასაბეჭდად აკად. ვ. თოფურაის მიერ, მაგრამ ტექნიკური მიზეზების გამო მისი გამოქვეყნება იმხანად ვერ მოხერხდა (რედ.).

ობაში. მან აღნიშნა, რომ „ვასილ ბარნოვს არა თუ მასწავლებელი, არამედ წინამორბედიც არა ჰყავს მეცხრამეტე საუკუნის მწერლებში“, „ის არ აგრძელებს მეცხრამეტე საუკუნის მწერლების ტრადიციას“, „ვასილ ბარნოვი, როგორც მხატვარი, მამების წინააღმდეგაა და პაპების დამცველი მწერლობაში“ („ფერად-ფერადი“, გვ. V); ვ. ბარნოვი „ხანდახან სტილიზატორადაც სჩანს; მაგრამ სტილიზატორია არა ცუდი გაგებით, არამედ როგორც წარსულის რომანტიკოსი და ისტორიის სურნელების მხატვრულად გამცოცხლებელი. სტილიზატორის მანერას ბელეტრისტი მიჰყავს ზოგიერთ რომანებში რიტმიულ პროზამდე, რომლის საწყისებს ჩვენ ვხედავთ „ვისრამიანში“ და ქართულ ძველ მხატვრულ სასულიერო პროზაში“ (იქვე, გვ. VII). მანვე აღნიშნა, რომ „ბარნოვის ნაწერებში მხატვრული სიტყვის ოსტატობა აღის მხატვრული პროზის უმაღლეს მწვერვალზე. ოსტატი უდიდესი ვირტუოზობით ფლობს ქართულ სიტყვიერ მასალას და აცოცხლებს უამრავ ქართულ სიტყვას პოეტური სიმძაფრით“ (იქვე, გვ. VI). „მართალია, ავტორი რიტმულ პროზის დამუშავებაში ხანდახან უკიდურესობამდის მიდის“, მაგრამ „საუკეთესო თავის ნაწერებში ვასილ ბარნოვის ენა მაინც სანიმუშოა და ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს მისგან ახალგაზრდა მწერალმა“, თუმცა, „რასაკვირველია, თანამედროვე მწერლობა ვერ გაიზიარებს ვ. ბარნოვის არქაიზმს, რომელიც შედეგია მისი პოეტური კონცეპციის და ფილოსოფიის“ (იქვე, გვ. VIII).

სიმონ ჩიქოვანმავე აღნიშნა, რომ „როდესაც ავტორი სოფლის თემატიკას ეხება, მისი ლიტერატურული ენაც უფრო უბრალოდგება და შესატყვისი ხდება აღებული მასალის“ (იქვე, გვ. IX).

ეგვევ ახრი უფრო ვრცლად და საილუსტრაციო მასალის დართვით გამოთქმული აქვს პროფ. შალვა რადიანს თავის სადოქტორო დისერტაციაში „ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები“, რომელიც 1944 წელს დაიბეჭდა. შალვა რადიანის თქმით, „ვ. ბარნოვი ლიტერატურული ენის ოსტატია. მის ორიგინალურ შემოქმედებას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს უაღრესად თავისებური სტილი. მის შემოქმედებაში გამოძვინებულია ისტორიულად შემუშავებული კულტურა და წერის მანერა, მერჩულმა, მროველმა, რუსთაველმა, საბა ორბელიანმა რომ განამტკიცეს. იგი აცოცხლებს ე. წ. „კლასიკურ ნორმებს“ ძველი ქართული ენისა, რომელიც უძველეს ძეგლებშია წარმოდგენილი“ (შ. რადიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142). „ვ. ბარნოვს მეტად მდიდარი ლექსიკონი აქვს, თუმცა მისი სიტყვარი ძალზე დამძიმებულია არქაიზმებით. თანამედროვე მკითხველს სპეციალური ახსნა-განმარტებაც კი სჭირდება მისი ლექსიკონის სრული ათვისებისათვის“ (გვ. 146). „ვ. ბარნოვს ეტყობა ძველი სასულიერო წიგნების ღრმა ცოდნა. მის მხატვრულ ნაწარმოებებში მრავალ სიტყვას ვხვდებით, საეკლესიო-

სასულიერო ხასიათისა. მაგრამ არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი წინადადებაც კი საეკლესიო ელფერით არის ხოლმე მოცუ-ლი“ (გვ. 148). „ვ. ბარნოვის სტილის განსაკუთრებული ხასიათია ფორ-მისა და სინტაქსის სიძველე. მის ნაწარმოებში შეხედვებით ისეთ წინა-დადებებს, სადაც არც ერთი არქაული სიტყვა არ ურევია, მაგრამ წყო-ბის მიხედვით არქაულ შთაბეჭდილებას სტოვებს ...სწორედ სიტყვათა ეს წყობა და განლაგებაა, რომ ვ. ბარნოვის შემოქმედებას აძლევს გან-საკუთრებით არქაულ ხასიათს, თორემ ისე ბევრი მწერალი ხმარობს არქაულ გამოთქმას და თანადროულ სინტაქსში იგი ნაკლებად არის შე-სამჩნევი“ (გვ. 149). „ვ. ბარნოვს უცვლელად აქვს გამოყენებული სა-სულიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი განლაგებაც წინა-დადებებისა“ (გვ. 148).

პროფ. შ. რადიანის აზრით, საერთოდ „ამ ხასიათის არქაიზმები გა-მართლებულია, როგორც სტილის ერთ-ერთი თვისებათაგანი, რამდე-ნადაც ის აყალიბებს განსაზღვრულ ეპოქის ადამიანების აზრებსა და შეხედულებებს“ (გვ. 148), თუმცა, რა თქმა უნდა, ზედმეტი გატაცება არქაიზმებით მიზანშეწონილი არ არის. მისივე აზრით, ვ. ბარნოვის მიერ ნახმარ ყველა სიტყვას არ მიიღებს ლიტერატურა, ხალხი, „მაგრამ მის მიერ ნახმარი, აღდგენილი რამდენიმე ათეული სიტყვაც რომ შე-ვიდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის საგანძურში, მაშინაც კი გამართლებულია ვ. ბარნოვის მუშაობა ენაზე“ (გვ. 149).

სიმონ ჩიქოვანის მსგავსად პროფ. შ. რადიანმაც განაზო, რომ „ახალ ქართულ ლიტერატურაში ვ. ბარნოვი აღიარებულია რიტმიული პრო-ზის ოსტატად... ვ. ბარნოვის რომანები და მოთხრობები რიტმიუხებული პროზის საუცხოო ნიმუშია და მათი სტრიქონები მკითხველზე მუსიკის შთაბეჭდილებას სტოვებენ“. „ვ. ბარნოვის რომანები დაწერილია კე-თილ ხმოვანი პროზით. იმ პროზით, რომელიც საუცხოოდ განმარტავს დიონისე პალიკარნელის აზრს იმის თაობაზე, რომ „პროზაული სიტყვა შეიძლება ემსგავსებოდეს მშვენიერ პოემასო“. „ვ. ბარნოვი განსაკუთ-რებული ოსტატობით ფლობს ამ რთულ სახეს პოეტური მეტყველე-ბისა. მან მთელი სიძლიერით გამოავლინა ძველი ქართული ენის მუსი-კალური ბუნება. ამ მხრით იგი აგრძელებს იოანე საბანისის, გიორგი მერჩულის, ლეონტი მროველის, საბა-სულხან ორბელიანის, „ისტორი-ანი და აზმანი შარავანდედთაის“ და აგრეთვე „დაბადების“ ქართული თარგმანის ავტორებისა და სხვა ძველ ქართველ მწერალთა გზას; ვ. ბარნოვის პროზა დიდად უახლოვდება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიას, მისთვის დამახასიათებელი შინაგანი რიტმიულობით“ (გვ. 144).

პროფ. შ. რადიანმა აღნიშნა აგრეთვე, რომ „ხშირია ვ. ბარნოვის პროზაში ალიტერაციაც“, რომ ვ. ბარნოვი ხშირად იცავს მარცვალთა

თანაბარ რაოდენობას „ცალკე წინადადებასა და ნაწილებში“ (თოთხ-მეტმარცვლიან ზომა-მეტრს) (გვ. 146).

ამრიგად, თავი რომ მოუყაროთ ყველაფერს ამას, საერთო აზრი ასეთია: ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებათა განმსაზღვრელად მიჩნეულია არქაიზმები, ერთი მხრით, და ის ფაქტი, რომ ბარნოვისათვის დამახასიათებელია რიტმული პროზით წერა. ეს უკანასკნელი ხერხიც ძველი ქართული სასულიერო მწერლობიდან მომდინარედა მიჩნეული, მამასადამე, უკიდურესი არქაიზმის გამოვლენას წარმოადგენს.

განვიხილოთ ვასილ ბარნოვის მოთხრობა-რომანებისათვის დამახასიათებელი ძირითადი სტილებრივი ნიშნები და ვნახოთ, რამდენად შეესაბამება ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გავრცელებული და დამკვიდრებული ეს აზრი საქმის ფაქტობრივ ვითარებას.

ვასილ ბარნოვის თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მაინცა და მაინც მის მოთხრობებსა და რომანებში სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ერთი მხრით დგას მისი ისტორიული რომანები, მეორე მხრით — სოფლის თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებები, ხოლო მესამე ჯგუფს თბილისის თემატიკაზე დაწერილი ნაწარმოებები შეადგენს. პირველ ჯგუფში შედის მისი საყოველთაოდ ცნობილი რომანები: „არმაზის მსხვერვეა“, „ტრფობა წამებული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „ისნის ცისკარი“, „ცოდვა სიჭაბუქისა“, „პირიმზე“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „თამარ მრწემი“, „განგების რკალში“ („გიორგი სააკაძე“) და სხვები. მეორე ჯგუფიდან ყველაზე დამახასიათებელია „თებერას დანიშნული“, „ქოჩორა ხე“, „მეხმატკილა გოგონას“, „ლევა ჩოხა“, „მრუდე მსხალი“, „სოვდაგარი“, „ანანოს ბედი“, „დაეწაფა სურვილით“ და სხვები. მესამე ჯგუფიდან — „ხარატი“, „მტკერის ვაჟი“, „ტკბილი დუღუკი“, „გველის ზეიმი“, „აღდგომის ცოდვა“, „მარგალიტის ცრემლები“ და სხვები.

რა თქმა უნდა, ამ ნაწარმოებთა ენა და სტილი სავსებით ერთგვარი არ არის. საკმაოდ განსხვავდება, მაგალითად, „ტრფობა წამებულის“ სტილი „თებერას დანიშნულის“ სტილისაგან. კიდევ მეტი: თვით ერთისა და იმავე ჯგუფის ნაწარმოებთა ენა არ არის ერთგვარი. „არმაზის მსხვერვეისა“ და „ტრფობა წამებულის“ ენა და სტილი განსხვავებულია „მიმქრალი შარავანდედისა“ და „ისნის ცისკრის“ ენისა და სტილისაგან. ერთ შემთხვევაში ერთი სტილებრივი ნიშანია უფრო ქარბად წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში — მეორე. მაგრამ, თუ ჯეროვნად ჩაუყვირდებით ვ. ბარნოვის მოთხრობებსა და რომანებს, დავრწმუნდებით, რომ ძირითადი სტილებრივი ნიშნების მიხედვით ეს ნაწარმოებები პრინციპულად, არსებითად ერთგვარია, ყველა მათგანში ჩანს ვ. ბარნოვის წერის მანერის დამახასიათებელი ნიშნე-

ბი, განსხვავებას ამ ნიშნების მეტ-ნაკლები რაოდენობით გამოყენება-  
ქმნის.

რა ძირითადი თავისებურებები ახასიათებს მაინც ვ. ბარნოვის ენა-  
სა და სტილს?

უწინარეს ყოვლისა, თვალში გეცემათ ის გარემოება, რომ ვასილ  
ბარნოვი სრულიად შეგნებულად გაუბრის რთული დაქვემდებარე-  
ბული წინადადებების გამოყენებას. ვ. ბარნოვის რომანებისა და მოთხ-  
რობების მთელი პასაჟები ისეა დაწერილი, რომ იქ ვერ შეხვდებით  
რთული დაქვემდებარებული წინადადების ვერც ერთ მაგალითს. მწერ-  
ლისათვის დამახასიათებელია მარტივი და შერწყმული წინადადებების  
ხმარება, ხოლო რთული წინადადებების საჭიროებისას — რთული შე-  
კავშირებული წინადადებების გამოყენება.

გვალეიანი ზაფხული იყო. ცხელოდა. შევიდა ტყეში. მიახწია ტყის ნაპირებსა.  
საშიში არაფერი ჩანდა... უეცრად ცხენი შეშფოთდა, ათრთოლდა, აფრუტუნდა. მხე-  
დარმა მოიმარჯვა ლახტი. შებუჩქვილ ხის სიმაღლიდან მოისმა შრიალი და გად-  
მოეშვა ჯაგარასხმული გველი. ანთებული თვალები მკვეთრი, სისინ-წივილი. აუიან-  
და გველი რგოლად მოხვეულ კუდზედ და გადირკალა პირაშემული. გიორგიმ მოას-  
წრო ცხენიდან გადახტომა. ნადირი ჩაფრინდა ჰუნეს და ხლართებთ გაუბა ფერ-  
ხნი. შებრუნებულმა გიორგიმ ლახტი დაკრა წელში და ჩაქექა. გადოხლართა მის-  
კენ მცურავი. წელი ვერ აჰყვა ხერხემალ ჩალეწილს. გაბრაზებულმა შხამი გადა-  
აშაღრეგანა მტრისაკენ. უბრალო ხერხი და იყო ძლეულისა. მისწვა ხმლის წვერი,  
თავი გაუპო („გიორგი სააკაძე“, გვ. 190-191).

დაპკრეს თვალი მონადირეთ ირემთა ნახარს. იყივლეს ეაი. გამოქანდნენ, დაცდეს  
ყიენა. რას უშველიდნენ? მთლად დაჰფარა ნადირთ ჯელვამ პატარა ჯგუფი. მტვე-  
რი და იდგა. მიცივიდნენ მშველელნი.

ხეს აპკროდა თამარ ქალი გაფითრებული. მთლად აცბროვებდა. უენებლად იყო.  
თავსათარი გაეტაცნა ირემს რქაზედა. დაქრილიყო თითონ გარდანი, საშიშრად არა  
 („თამარ მრწემი“, გვ. 410).

გადაიარა ხანმატზედ. გავიდა ხეეს ხახაბოსთან. მთა-მთა წავიდა მდინარის მარ-  
ჯენივ ანატორისკენ. გადახედა შატილის არეს. დააპირა წყალს გახდომბა, სოფელში  
ჩასვლა. გადაიფიქრა. შეუდგა მწერტვალებს, მეტად ძნელი სავალი იყო, წავარნაც  
არსადა სჩანდა. მტრისაგან უშიში ადგილები: არ ეცალა მტრის სახვერად, ვერც დიდ  
სიფრთხილეს გამოიჩინდა: სხვაგან ჰკროდა მისი გონება. ერთი ციკაზო და დაღვ-  
ბოდა ანატორის ბილიეს. კლდეზედ რომ შეიმართებოდა, შემოესმა შრიალი რამ შო-  
რეული. შედგა. შეათვლიერა...

ამოფარა ლოდს, გამოჩნდა ვაცი. ზზას იკვლევდა. რამოდენიმე შუნი უკან („დე-  
დის ხელი“, გვ. 484—485).

შევსწირე. დავემწვიდობე. დავბრუნდი. ჩემი მტრედი აღარსადა სჩანდა, გაურე-  
ნილიყო: სწუნოდა ჩემი საქციელი. საწყენიც იყო, მე და ჩემმა ლმერთმა, და და-  
საგომბო... მივიხედე, თებერა იყო. სადღესასწაულოდ მოლამაზებულოყო: თთა ვა-  
ეკრიტა, წვერი მოვპარსა, ახალი ტანისამოსი ჩაეცვა. ეაყკაცი დამღვაროყო თქვენი  
მოსაწონი! („თებერას დანიშნული“, გვ. 56—57).

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც რთული შეკავშირებული წინადადება წარმოდგენილი, ვ. ბარნოვი ცდილობს, ჯერ ერთი, კავშირება არ გამოიყენოს, და მეორე, რთული წინადადება შემადგენელ მარტვე წინადადებებად დაანაწილოს და მარტივი წინადადებებით გამართოს თხრობა. კიდევ მეტი: ასეთსავე ოპერაციებს აკეთებს მწერალი შერწყმული წინადადებების შემთხვევაშიც: გაურბის ერთგვარი წევრების კავშირებით გაერთიანებას, საერთოდ რაიმე საშუალებებით გაერთიანებას, და ერთგვარწევრიანი წინადადება მოკლე-მოკლე მარტივი წინადადებების წყებითაა შეცვლილი.

ფერდობები იყო მზისკენ ჩაფენილი. უამრავი პანტის ხეები, მავალიც ყო, ტყე-მალაც სჩანდა. ვანზაბ დარგულ ხეხილსა ჰკვანდა. ახლო ვარშემო წიფლიანი. ყვილად ეკუწლა. ძირსაც იყო გაშლილი. შეათვლიერეს დასარბევები, ამოარჩიეს. მარჯვე ბიჭები თავს მოექცნენ ხეებს. არ ეადვილათ: ხეხილს წიფლისთვის მიეპანა, ლითიდ წასულიყო მალსა ცისაკენ; მზისაკენ თუ მიიბრძოდნენ ლერწამტანები. ხალხა არ სჭირდებოდათ: მოწული ხილი თითონვე ისწარფოდა დედამიწისკენ, ყოველ შერხევანედ უხვად იშლებოდა ძირს („ანანოს ბედი“, გვ. 110).

ამ მხრივ დამახასიათებელია ზემოთ მოყვანილი ადგილი:

„გადაიარა ხახმატზედ. გავიდა ხეეს ხახაბოსთან. მთა-მთა წავიდა მდინარის მარჯვნივ ანატორისკენ. ვახედა შატილის არეს. დააპირა წყალს გახდომა“. შეადარეთ: გადაიარა ხახმატზედ, გავიდა ხეეს ხახაბოსთან, მთა-მთა წავიდა მდინარის მარჯვნივ ანატორისკენ, ვახედა შატილის არეს და დააპირა წყალს გახდომა ან კიდევ: „შექსწირე. დავემშვიდობებ. დავბრუნდი. ჩემი მტრედი აღარსადა სჩანდა, ვაფრენილიყო“. შეადარეთ: „შექსწირე, დავემშვიდობებ და დავბრუნდი, მაგრამ ჩემი მტრედი აღარსადა სჩანდა, ვაფრენილიყო“.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვ. ბარნოვს რთული დაქვემდებარებული წინადადებებიც არ ჰქონდეს გამოყენებული, მაგრამ ასეთი წინადადებების გამოყენების შემთხვევაშიც სრულიად გარკვეული მიდრეკილება შეინიშნება მწერლისა. იგი გაურბის მაქვემდებარებელი კავშირების, მიმართებითი ნაცვალსახელებისა და ზმნისართების გამოყენებას, ჩვეულებრივად უკავშირო შეერთებას ირჩევს (თითქმის სრულებით უცხობა ვ. ბარნოვისათვის რთული დაქვემდებარებული წინადადებები განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებია. იგი, როგორც ჩანს, სრულიად შეგნებულად გაურბის რომელიც წევრ-კავშირის გამოყენებას):

ისე მწყობრად აასხავდა ფიჩხებს ფარცხადა, გადავარცხნილ ქოჩორსა ჰკვანდა („ლუგას წიხა“, გვ. 3).

მერმე ნახა, არავისთვის არ საფრობდა მტკიცე სიმაგრეც და მიენლო უნებლედ ტალღას მიმავალს („ანანოს ბედი“, გვ. 119). ის უკვირდა კაცს: ტყვიის სიტყვაში

ჭერ უვნებლად მიმოიძროდა (იქვე). იმათ იციან, გიორგისთან ჩემი კავშირი დასაწყისია საქართველოს შესაქრებად მძლავრ ბრძოლებისა („გიორგი სააკაძე“, გვ. 159).  
წამლად გეძებნა, ერთ ბეწვს ველარ იპოვიდა პირისახეზედ („მტკვრის ვაჟი“, გვ. 63).

რაკი რთული დაქვემდებარებული წინადადებების გამოყენების არე მაქსიმალურად შეზღუდულია, სამაგიეროდ, ფართო გასაქანი ეძლევა მიმღეობურ კონსტრუქციებს. ამ გზით ხერხდება რთული დაქვემდებარებული წინადადების შინაარსის გადმოცემა მარტივი წინადადებით. ზვერ შემთხვევაში მიმღეობის გამოყოფა, განკერძოება ხდება:

გარეთუნის შენობათ შორის სიმშენიერით ირჩეოდა ბუნჩაძის სახლი: მკვიდრი, დამტვევი, მოხდენილი; თითქო მწყაზარი... მარტო წინგარდი ღირდა ერთ სახლად. მძლე რკინებზედ დაყრდნობილი თვითო ლითონისა; ხარატებულ: მდინარეზედ გარდაწვებული („მტკვრის ვაჟი“, გვ. 62).

— სკოლამაც თავისი იერი დასდო: მისი ტყევა, სიტყვის ნაქვთები ფიქრისაგან ფარგალმოსმულნი (იქვე, გვ. 63).

მთელი სასახლე ჩირაღდნებული. ყველა ფანჯრები ქალ-სანთლებით განათებულა. წყალის მხარე აივანი ტურფად მორთული (იქვე, გვ. 65).

თვით მარტივი წინადადებების გამოყენების შემთხვევაშიც გარკვეულ თავისებურებას იჩენს ვ. ბარნოვი. მარტივი წინადადება მაქსიმალურადაა განტვირთული წევრებისაგან, მწერალი მოკლე წინადადებებს აძლევს უპირატესობას. ამასთან, ბარნოვს ეტყობა გატაცება უსრული წინადადებებით. მწერალი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებს იმისათვის, რომ წინადადებაში რომელიმე წევრის გამოტოვება მოახერხოს:

სწრაფად ჩაიკვა. გავიდა სახლით. აღმა ჰქნა პირი. მისწრაფოდა („მტკვრის ვაჟი“, გვ. 71).

ლაპკრა ფეხი მკვიდრ ნიადაგს, ზე აიშართა. გადასცა ტვირთი. ერთს მეყს შეფერხდა (იქვე, გვ. 70).

— მაინც კიდევ არ ისვენებს შრომას ნაჩვევი. — მისუბუქ საქმეზედ იარება დიდ ოჯახებში. — ბუნჩაძიანი თურმე თითონ ხშირად უხმობენ. — ერთგული არის, ცამდინ ალალი (იქვე, გვ. 63).

ძირითადი თავისებურებათაგანი ვ. ბარნოვის სტილისა მაინც ის არის, რომ მწერალი ცდილობს მაქსიმალური ეკონომია დაიცვას ზმენების ხმარების მხრივ, რამდენადაც კი ქართული ენის ბუნება მას ამის საშუალებას აძლევს. ხშირად საკმარისია ერთ აბზაცში ერთი ზმნა-შემასმენელი იხმაროს, და ამას მოსდევს მთელი ზევი სახელებისა, ჩვეულებრივ, ზედსართავი სახელებისა და მიმღეობებისა. ამის შედეგია მსაზღვრელ სახელთა სიუხვე ვ. ბარნოვის ნაწერებში. ვ. ბარნოვისათვის დამახასიათებელია, მაგალითად, ასეთი პასაჟები:

და მოსათვლელად მომზადებულს იქვე ახლო აღმოუჩნდა გატაცებით მოტრფი-  
აღე ნათელი სახე: სალომეს ვაჟი უშანგ ჭაბუკი... დღიურ ცხოვრების თვალსაზრ-  
სით მთლად შეუფერი: ერთი მდიდარი, მეორე კი მთლად ღარიბი, სულ უჭონელი;  
ერთი ზრდილი ფუფუნებით ზღაპრულ ყოფაში, მეორე კი სხვის ხელს შემყურე,  
გლახაკურად ცხოვრების შვილი; ერთი უფრო დიდ-დიდებს მსასოებელი, ხოლო მე-  
ორე კარგ შემთხვევით რაღაც მოხელე („მტკვრის ვაჟი“, გვ. 63).

ამ ნაწყვეტში ერთი ზმნაა მხოლოდ: **აღმოუჩნდა**, სახელები კი 40-ს  
აჭარბებს.

თქმა არ უნდა, სავსებით ამ მანერით წერა შეუძლებელია. მაგრამ  
ამისი მსგავსი ადგილები ვ. ბარნოვის მოთხრობებსა და რომანებში საკ-  
მაოდ ხშირია.

ზმნების გამოუყენებლობისადმი ლტოლვისა და სახელების მოჭარ-  
ბებულად ხმარებისადმი ტენდენცია იმაშიაც გამოიხატა, რომ ვ. ბარ-  
ნოვის ნაწერებში საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვ. წ. სა-  
ხელებითს წინადადებებს. ვ. ბარნოვმა პირველმა გამოიყენა სახელ-  
დებითი წინადადებები, როგორც გარკვეული სტილებრივი ხერხი, ქარ-  
თულ მწერლობაში. ასეთ წინადადებათა ხვედრი წონა ვ. ბარნოვის  
ნაწერებში საკმაოდ დიდია. ასე, მაგალითად:

ვახშმის ლოდინში მღერა, ცეკვა, მუსაიფი; სიცილ-თქართქარი, შარბათები, ტკბი-  
ლეულობა („მტკვრის ვაჟი“, გვ. 65).

პატარა მაგიდაზედ ორკეცად გადაფარებული თეთრი სუფრა, საბაღში თონის  
პური თხლად დაჭრილი, სასმისით არაყი. ხუთიოდე წითელი კვერცხი. პატარა ლამ-  
გრით... ცივად მოხარშული ქათამი, ასო-ასო დაჭრილი. საწყალა ღებუა! („ადღაგობის  
ცოდვა“, გვ. 79).

კარგად ივახშმეს. კაკალა პური, ღორის ლურთები, თითო არაყი („რკინის დე-  
ვი“, გვ. 148).

რჩეულათთვის: ყველი, მოთალი, ტარხუნა, მწვანაილეული, ღვინო-არაყი, ზურ-  
გიელი, ორიოდ შამფური მწვადი („სოფელაგარი“, გვ. 157).

გაჩაღებულ ღარბაში. ჭახჭახებდნენ ქალი, შანდლები. ხავერდის ავეჯი არგალან-  
დლი. ხალიჩები, სუზუნები, ფარჩის მუთაქები, ნაქსოვ-ნაყერი ყურთ-ბალიშები; ბუზ-  
რის თავი, თაროები ვერცხლეულით დამამბებულნი. ფაიფურის მაშრაფები ყვავილით  
სავსე („მარგალიტის ცრემლები“, გვ. 190).

თეთრი ქალი შუა ტანისა. სხივიანი თვალები ღმობაერი. მიმზიდავი ღიმი ვარ-  
დის ტუჩებზედ. ნატიფი ზეღა გამკვირვალე (იქვე, გვ. 197).

ზურგზედ ორლულიანი. მკერდზედ ჭვარდინად არტახები ვაზნებით სავსე. მხარ  
ილღე ბადედ ნაქსოვი ჩანთა ნანადირევით სავსე. კურდღელი, ფრინველები ტყავის  
სარტყელზედ („ფერია“, გვ. 306).

გარინდებული მწვერვალები ტაშირთ დარაჯად. ფერნაცვალი მწვანე სახე დღ-  
ლილ ზაფხულის. ლაყვარდ-ლაყვარდი ღრუბლები ჭვრუჭვრუჭად ცაზედ (იქვე, გვ.  
309-10).



თავისებურია ვ. ბარნოვის დიალოგები. დიალოგებში ხშირია ლა-  
უმთავრებელი, შუაზე გაწყვეტილი წინადადებები; ძალიან ხშირად  
სიტყვაც გაწყვეტილია, თუმცა ეს აუცილებლობით არ გამომდინა-  
რებს თხრობის მსვლელობიდან.

გარეთუბნის შენობათ შორის სიმშვენიერთ ირჩეოდა ბუჩქაძის სახლი...

— ვიცი: თრსართულიანი შენ..

— სამიანი!

— ორიანი: შიგა ვყოფ..

— მაშ დუღაბით ამოტანილ სარდაფს არად სთვლი?! („მტკვრის ვაჟი“, გვ. 62).  
დახე, როგორ დაგვამდ...

— მეტისმეტად გვაწყენინეს, გავვათახ... (იქვე, გვ. 67).

— იქნებ ცხოვრება გაუჭირდათ და შეაღონეს უმწეო ქალი? მაშინ ანანო უნებ-  
ლიდ დასთანხმ... („ანანოს ბედი“, გვ. 120).

მეტად დამახასიათებელია ვასილ ბარნოვის ენისათვის აგრეთვე ის  
ფაქტი, რომ მის მოთხრობებსა და რომანებში დარღვეულია წინადა-  
დების წვერთა ჩვეულებრივი წყობა და არც რაიმე გარკვეული, მუდ-  
მივი, მყარი წყობა წვერებისა შეიმჩნევა. ზმნა-შემასმენელი ხშირად  
წინადადების დასაწყისშია გადასმული, საგარემოებო სიტყვების ადგი-  
ლი მყარი არ არის, მოძრავია: საზღვრული სახელი თავისი პოსტპო-  
ზიციური მსაზღვრელითურთ წინადადების ბოლოსაა მოქცეული და  
ა. შ. ერთი სიტყვით, წინადადებაში სიტყვათა წყობა ყოველ ცალ-  
კეულ შემთხვევაში განსხვავებულია.

ქალა უკვე მთლად გაკაფულია. იქა-იქ ღა დარჩენილი ხეები ობლად. საქარხნო  
შენობები ერთ-ორ ადგილას („მტკვრის ვაჟი“, გვ. 61). იქაც მოსწონდათ კოხტა ბალ-  
ლი სანდომიანი. ლამაზ გოგონას სამკაული მაინც თმა იყო (იქვე, გვ. 62).

სცადეს განვრძობა სიამოვნების. ველარ მოხერხდა. სიხარულმა შეკუმშა ფრთები  
(იქვე, გვ. 66).

მოშორდა ქალსა. შეურთდა ყისმათს უბედოს. ერთობოდა უბნის ტოლ-სწორში.  
ასწორებდა თავის ცხოვრებას, იჯახს შესქენდა. ახალი ბინა ხომრიელი და სანთიანი  
(იქვე, გვ. 67).

არ იყო ბევრი მათი ლუკმა, არც თუ რჩეული. ჩვეულებრივ ტბილი იყო ოუ-  
ლით ნაზავი. ესლა სიტკბო დაჰკარგოდა იმათ პურობას: ზანტად სციხნიდნენ ლუკ-  
მას დაღონებულნი (იქვე, გვ. 66).

გაზაფხულის თბილი წვიმა უწყვეტ ღვარებად... ხეებ-ღრანტეები ალიცილიდნენ  
შქუხარ ღვარებად (იქვე, გვ. 68).

ილიმებოდნენ ყვავილები, იფურჩქნებოდნენ... ეს ანანოა ჩველგულიანი. აგერ ნა-  
ნინო თმადაგრუხული. მანანო არის მეტად მყავრი, მაინც სანდომი. ლიზა, ლიზიკო!  
აღმაცრავ მიმზერს. ნაძვი ძლიერი, სარო მწყაზარი: დაფინე, უშანგ. სიყვარულით  
უმზერენ ერთუთს, უაღერსებენ (იქვე, გვ. 72).

ასეთია ის ძირითადი თავისებურებები, რომლებიც განსაზღვრავს  
ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებებს. რა თქმა უნდა, ვასილ

ბარნოვის ყველა ნაწარმოები ან თუნდაც ერთისა და იმავე ნაწარმოების ყველა ადგილი ამგვარად არაა დაწერილი. მაგრამ რაც ამნაირი არ არის, ის არც თავისებურია და თითქმის არაფრით განსხვავდება სხვათაგან. ისე კი ამგვარი ადგილები მეტ-ნაკლებად ვ. ბარნოვის თიოქმის ყველა ნაწარმოებში გვხვდება. მაინცდამაინც მისი ისტორიული რომანები ამ მხრივ პრინციპულად არაფრით განსხვავდებიან მოთხრობებისაგან.

არც ერთი აქ წარმოდგენილი მოვლენა არ არის არქაული, ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი. მეტიც: არც ერთი აქ დასახელებული ენობრივ-სტილებრივი ფაქტი არ გვხვდება ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში. ერთადერთი ფაქტი, რომელიც შეიძლება ძველი ქართული სალიტერატურო ენიდან ცნობილ ვითარებას გვაგონებდეს, ეს არის მსაზღვრელი სახელის პოსტპოზიციურად დასმა. მაგრამ თუ საქმის ვითარებას კარგად ჩავუყვირდებით, დაგრწმუნდებით, რომ მსაზღვრელი სახელის საზღვრულის შემდეგ დასმას ვ. ბარნოვის მოთხრობა-რომანებში არაფერი აქვს საერთო ძველი ქართული სალიტერატურო ენის ანალოგიურ ფაქტებთან. ვ. ბარნოვთან მსაზღვრელი საზღვრულს კი მოსდევს ადგილის მიხედვით, მაგრამ თითქმის არც ერთ შემთხვევაში არაა დაცული საზღვრულსა და მსაზღვრელს შორის სინტაქსური დამოკიდებულების ძველი ქართულისებური ნორმა. კიდევ მეტიც: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ჩვეულებრივი ნორმაც კი დარღვეულია ამ მხრივ მეტწილად. შტრ.::

სცადეს განგრძობა სიამოვნების („მტკერის ვაჟი“, გვ. 66). მხედართმოვარს დაუდგინა მცველად დედოფლის („გიორგი სააკაძე“, გვ. 98). გველის ხლართვად ჩაწოლილი მუნ საზრუნელი ქალისათვის მოკარნახე დიდის სიფრთხილის (იქვე, გვ. 105-6).

რასაკვირველია, ვ. ბარნოვის სტილის არქაულობის დამამტკიცებელ სერიოზულ საბუთად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის ფაქტი, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას, რომ „ტრფობა წამებულისათვის“ წყაროდ მან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გამოიყენა. არც ისაა მართალი, თითქოს მის ნაწარმოებებში ვხვდებოდეთ „ისეთ წინადადებებს, სადაც არც ერთი არქაული სიტყვა არ ურევია, მაგრამ წყობის მიხედვით არქაულ შთაბეჭდილებას სტოვებს“ (შ. რადიანი, გვ. 149). ამ დებულების დასამტკიცებლად ვერ გამოდგება ასეთი ადგილი ბარნოვს ერთ-ერთი რომანიდან:

„სანადირო ადგილად ხეობა ამოერჩივნათ. მომცრო მდინარეს ჭალა ჩასდევდა ჭანჭობიანი. შამში, ბარდები. ტოტებზედ თუ კენწერებზედ მაიმუნთ ჯარი. გველი

იყო უფრო საშიში. უჩვევი თვალი ვერ არჩევდა ხის ტოტიდან თუ სქელ ფესვიდან მრავალი მხეცი სხვადასხვაგვარი, შაპინშაპის სანადიროდ მტკიცედ დატული („ნათელმოხილი“, გვ. 127).

ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივი არაა, რატომღაც არჩაულად არის გამოცხადებული, ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებლად.

მაგრამ არის თუ არა საერთოდ არქაიზმები ვასილ ბარნოვის მოთხრობებში და რომანებში? ვასილ ბარნოვის ნაწერებში მართლაც არის ლექსიკური არქაიზმები (განსაკუთრებით, ისტორიულ რომანებში). აქაიქ მორფოლოგიური არქაიზმებიც გვხვდება (ისევე რომანებში): ხოლმეობითის ფორმები, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს III პირის ძველბურთი ფორმები... მაგრამ მორფოლოგიური არქაიზმები მეტად იშვიათია. რაც შეეხება ლექსიკურ არქაიზმებს, არც ესენია ქარბად წარმოდგენილი ვ. ბარნოვის თუნდაც ისტორიულ რომანებში. რაც არის, ისიც მეტწილად ტერმინებია. ასე რომ, უსათუოდ გადაჭარბებულია ამ მხრივაც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული აზრი. საქმე ისაა, რომ ვ. ბარნოვის ნაწარმოებებში არჩაული ლექსიკის გვერდით საკმაოდ უხვად გვხვდება დიალექტური (ქართლური, კახური) და ქალაქური, თბილისური ლექსიკაც. რადგანაც ყველა ეს სიტყვა არაა ჩვეულებრივი თანამედროვე მკითხველისათვის, არქაიზმებად არის გამოცხადებული. მაინცდამაინც პროფ. შ. რადიანის მოყვანილი „არქაული“ სიტყვებიდან არც ერთი არ არის ძველი ქართულის კუთვნილება (ბაცაცი, დატიტული, აჩხენდეული, ამყარია [=დამყარებულია], იმლიკი, დახაციცებული და სხვ.). ამ თვალსაზრისით საკმარისია ვადათვალიერება თედო სახოკიას მიერ შედგენილი ლექსიკონებისა, რომლებიც დართული აქვს ვ. ბარნოვის „ფერად-ფერადსა“ და „გიორგი სააკაძის“, და დავრწმუნდებით, რომ ამ ლექსიკონებში შეტანილი სიტყვების მეთაფედიც კი არ არის ძველი ქართულიდან მომდინარე. მეორე მხრივ, ერთგვარი არჩაულობის შთაბეჭდილებას ქმნის აგრეთვე ზოგიერთი სიტყვა თუ ზოგიერთი სიტყვის ორთოგრაფია (გარნა, შაზრი), მაგრამ ეს სიტყვები თუ ფორმები ბარნოვის მიერ ძველი ქართულიდან შეთვისებული არ ჩანს, მათი წყარო XIX საუკუნის ლიტერატურაა.

მაინც არქაიზმები არის, მაგრამ ეს არქაიზმები უმთავრესად ტერმინოლოგიური ხასიათისაა. მართლაცდა, იქნებოდა სრულიად გაუგებარი ანაქრონიზმი, „არმაზის მსხვერვის“ ან „გიორგი სააკაძის“ გმირებს ხმლის, შუბის, თროლის, მშვილდ-ისრის, ლახტისა და გურზის ნაცვლად ხელში უკანასკნელი სისტემის ვინჩესტერი ან სმიტისა და ვესონის სისტემის პისტოლეტი სჭეროდათ და იმით ემუხრათ მტერი.

არც ლექსიკური არქაიზმები და არც მორფოლოგიური არქაიზმების თითო-ოროლა შემთხვევა, რომლებიც ბარნოვის რომანებში გვხვდება,

რატესობის მინიჭება; რთული შეკავშირებული (და ხშირად შერწყმული) წინადადებების დანაწილება და მარტივი წინადადებების სახით მათი წარმოდგენა; რთული დაქვემდებარებული წინადადებების შეცვლა მიმდებარე კონსტრუქციების შემცველი მარტივი წინადადებებით; წინადადების მაქსიმალურად განტვირთვა წვევებისაგან (მოკლე წინადადებების ხმარება); უსრული წინადადებების დიდი ხვედრითი წონა; წინადადებაში წვევთა ჩვეულებრივი, ბუნებრივი წყობის დარღვევა (ნებისმიერი წყობა წვევებისა წინადადებაში) და სხვ. ეს ის ნიშნებია, რომლებიც ლექსის ენას ახასიათებს, ლექსის ზომისა და რიტმის მოთხოვნითაა გამო აუცილებელი ხდება პროზაული თხრობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ბუნებრიობის დარღვევა. ის ფაქტიც, რომ მსაზღვრელი პოსტპოზიციურადაა დასმული, ამავე რიგის მოვლენაა და დამახასიათებელი როგორც XIX საუკუნის ქართული პოეზიისათვის, ისე თანამედროვე პოეზიის ენისათვისაც:

და დაიმხვრევა იგი ბორკილი  
 შემფერხებელი კაცთა ცხოვრების... (ილია).  
 მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის...  
 მხიარულ ხმებად გარდაეცვლების  
 და შენს გულთანედ გულით ლმობილი  
 იტყვი სიმღერას თავისუფლების (ილია).  
 მამჩემი მუშა მიწის,  
 თხზმოცი წლის მოხუცს კვლავ ახარებს ბარაქა ყანის (რ. გვეტაძე).  
 არ მოვეწონა წესის მთიდან აფრენა ორბის (ე. ჰეინაჩე).

მსგავსი მაგალითები მრავლადაა გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიჭოვანისა და სხვა თანამედროვე პოეტების ლექსებსა და პოემებში.

მართლაც, თუ დავაკვირდებით ვასილ ბარნოვის პროზის კოლონებს (ანუ, როგორც სხვაგვარად უწოდებენ, მეტყველების ტაქტს), დავრწმუნდებით, რომ ისინი მრავალ შემთხვევაში წარმოადგენენ სალექსო ერთეულებს ან სალექსო ერთეულების ნაწილებს. აქ ჩვენ გარკვეული მეტრის ლექსის სტრიქონები ან სტრიქონთა ნაწილები გვაქვს. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს რიტმულ პროზასთან, კიდევ მეტი: ვასილ ბარნოვის პროზის მთელი პასაჟები ხშირად თეთრი ლექსითაა დაწერილი.

ვასილ ბარნოვს გამოყენებული აქვს ზომა და მეტრი თოთხმეტმარცვლოვანი ლექსისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ბესიკმა შემოიღო. ამ ზომითაა დააწერილი ბესიკის ცნობილი ლექსები: „ბულბული მოდის მწუხარებით“, „ტანო ტატანო“, „მე შენმა ფიქრმა მიმარინდა“, „ბულბულის შურსა“, „მე შენი მგონე“, „ცრემლთა ისარნი, „ვარდო სასურო“, „მზეჭაბუკ ორბელიანს“:

მკვდარი ზესიკი, მოდი, მნახე, ჩამიდგი სული,  
თუ გინდ მიწასაც მიმაბარე მოყვრის ენით!

(„ბუღბუღი მოდის მწუხარებით“).

თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშვენის მწველად,  
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა, გველი გვვა მცველად,  
გვხსნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად.

(„ტანო ტატანო“).

შენნი მიჯნურნი ველად რბიან ბროლის ყელისა!

შენმა გახეტქამ, ეშხი მოჰკლავს შენის წელისა!

(„მშეჰაბუჯ ორბელიანს“).

ამ ზომითაა დაწერილი გრიგოლ ორბელიანის „ჩემს დას ეფემიას“  
(„ჩემად ნუგეშად, ჩემად შევებად, სასიხარულოდ...“), ნიკ. ბარათაშვი-  
ლის „ფიქრნი მტკერის პირას“ („წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ  
გასართველად...“), „შემოლამება მთაწმინდაზედ“ („ჰოი, მთაწმინდავ,  
მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი დამაფიქრველნი, ვერანანი და უდა-  
ბურნი...“); ამ ზომით ითარგმნა ივანე მაჩაბლის მიერ შექსპირის ტრა-  
გედიები („თიხად გარდიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი და სახლთსა-  
ლესად ხმარობენ მას, მას ქვეყნის მზარავს...“). ეს ზომა თანამედროვე  
ქართულ პოეზიაშიც იხმარება და არცთუ იშვიათად. ამ ზომითაა, მაგა-  
ლითად, დაწერილი კ. ჭიჭინაძის ცნობილი ლექსები „რიონის აპოლო-  
გია“, „პრეისტორია“ და სხვ. („საუკუნეთა უნაპირო, უტეხი ტევრი,  
კბილით დაგლეჯა და მრისხანე მხეცთა დუელი, იყო ტუბალი, ნოსი-  
ნიკი და ქარღუელი, შენი ზღაპრული განდიდების ნამსხვრევი ბევრი“)-  
ახლა ვნახოთ რამდენიმე მაგალითი ვ. ბარნოვის პროზიდან:

მედგრად ებრძოდა, მიდიოდა, თოვლს მიაბრდევდა.

აღლოთი გრძნობდა, ახლო იყო ირემთა ჯოგი.

(„ნანატრი ნადირი“, გვ. 68).

შევიაყრობ ირემს, რქაბუდიან წინამძღვარს რემის...

და მისი ფიქრი გარდაფრინდა მის ირმასაკენ.

უაღერსებდა, უტკებზოდა ფიქრთა არემი.

მისი ოცნება ყვავილთ ჰკრეფდა თოვლის ზვინებზედ,

ფერხთ ქვეშ უგებდა თავის სატრფოს სუნნად სუნნელებს,

(იქვე, გვ. 70).

— მეც ოდესმე მიღიმოდა წუთის ცხოვრება,

კიდევ ვყვებოდი მცირეხნობით მე მისსა ტალღებს;

მაგრამ ვერ ვნახე მე სიკეთე მუხთალ სოფელში

და დალახვრული შევეფარე წმინდა სავანეს

(„არხეოლოგიური ნაშთი“, გვ. 49).

აი, მთელი აბზაცი „გიორგი სააკაძიდან“:

ადასტურებდა ჰაზრის კარნახს დიდებულთ სახე;

ფიქრს მისცემოდა, ბოროტ კმუნეას იმათი სული;

ჰამობდენ ხელმწიფეს, არ მოსწონდათ იმისი ქცევა.  
იტყოდა მეფე თავის გულში: ეს საშიშია;  
მათხედ აყრდნია, ამ ბურჯებზედ, სამეფო ტანტი,  
აბგარ-აბჯარი მათი იღვეს ცხებულის გვირგვინს  
და თუ გამოდგენ, ელის რყევა ჩემს ძლიერებას (გვ. 102).

ეს მაგალითები საესებით გამართულ თოთხმეტმარცვლოვან თეთრ ლექსს წარმოადგენს. ასეთი ადგილები ვ. ბარნოვის მოთხრობებსა და რომანებში ხშირია. რა თქმა უნდა, ყოველთვის არ იყენებს მწერალი ამ საშუალებას, მაგრამ მის ყოველ აბზაცში გვაქვს თოთხმეტმარცვლოვანი გამართული სტრიქონები, ან ამ სტრიქონების ნაწილები მაინც.

ხშირად მთელი დიალოგებია აგებული ამ წესით.

- ორიგ ხელი თავისუფალი! — თმებით უჭირავს.
- ყოჩად, ვაჟაკო! მის ქმედობას აზრი შეაჩნდა („მტკვრის ვაჟი“, გვ. 70).

როგორც შ. რადიანმა აღნიშნა, ალიტერაციაც კი არ არის უცხო ვასილ ბარნოვისათვის (გვ. 146): „შტახსი მიუპყრა საყნოსელად, აღვა სუნნელი; ხავერდის ხაო შესახებად ალერსიანი“ („გიორგი სააკაძე“, გვ. 67).

ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ საესებით მართებულია, როცა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები შენიშნავენ: ვასილ ბარნოვის პროზა რიტმულ პროზას წარმოადგენსო, მაგრამ სრულიად უმართებულთა, როცა ამ ფაქტს ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის გავლენით, არქაიზაციისადმი მწერლის მიდრეკილებით ხსნიან. შემეცდარია აზრი, თითქოს „ამ მხრით იგი აგრძელებს იოანე საბანიძის, გიორგი მერჩულის, ლეონტი მროველის, საბა-სულხან ორბელიანის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთაის“ და აგრეთვე „დაბადების“ ქართული თარგმანის ავტორებისა და სხვა ქართველ მწერალთა გზას“ (შ. რადიანი, გვ. 144). ჯერ ერთი, რა აქვს საერთო „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ენასა და სტილს გიორგი მერჩულის ან ბიბლიის ენასა და სტილთან, ან კიდევ საბა-სულხან ორბელიანის ენასა და სტილს ლეონტი მროველის ენასა და სტილთან? მაგრამ, ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა კავშირი აქვს თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის ზომით დაწერილ თეთრ ლექსს თუ „რიტმულ პროზას“ ბიბლიის ენასთან და საბა-სულხან ორბელიანის ენასთან?! ცხადია, ამ შემთხვევაში გაუკებრობასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ გვგონია, რომ ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა, არქაიზმები ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, პირიქით, ვასილ ბარნოვის სტილის თავისებურებებში მწერლის მოდერნისტული მიდრეკილებების გამოხატულებას წარმოადგენს.

გარდა იმისა, რომ ვასილ ბარნოვი გატაცებულია რიტმული პროზით, ჩვენ ზემოთ დავასახელებთ მისი სტილის ზოგიერთი სხვა თავისებურებას. ეს თავისებურებებია: მაქსიმალური ეკონომიურობის დაცვა ზმნის გამოყენების მხრივ და სახელთა მოჭარბებული გამოყენება; ფართოდ გამოყენება ე. წ. სახელდებითი წინადადებებისა, როგორც სტილებრივი ხერხისა; თავისებურება დიალოგებისა; დიალოგების რიტმულ პროზად გამართვა და სხვ.

როდესაც ამ თავისებურებებს ვეცნობით, არ შეიძლება არ მოვიგონოთ რუს სიმბოლისტთა ცნობილი პლეადის — ბრიუსოვის, ბლოკის, ბალმონტის, ვიაჩესლავ ივანოვის და განსაკუთრებით ანდრეი ბელის შეხედულებანი მწერლის ენისა და სტილის შესახებ და მათი ენობრივ-სტილისტიკური პრაქტიკა. რუსმა სიმბოლისტებმა დაამკვიდრეს რუსულ ლიტერატურაში რიტმული პროზა. რიტმული პროზითაა დაწერილი ანდრეი ბელის ცნობილი წიგნები „Маски“, „Петербург“, „Ветер с Кавказа“ და სხვები, განსაკუთრებით — ეს უკანასკნელი სიმბოლისტებმა დაამკვიდრეს და გააბატონეს რუსულ ლიტერატურაში ე. წ. სახელდებითი წინადადებები, როგორც სტილისტიკური ხერხი; მათვე გამოიყენეს ალიტერაცია პროზაში; სიმბოლისტებივე შეეცადნენ შეძლებისდაგვარად განედევნათ ხმარებიდან ზმნა და სიმძიმის ცენტრი სახელებზე გადაეტანათ; სიმბოლისტებსვე ახასიათებდათ თავისებურა დიალოგები, გარკვეული მიდრეკილება არქაიზაციისადმი და ა. შ.

სახელდებითი წინადადებების გავრცელება ქართულში ჩვენნი საუკუნის 20-იანი წლებიდან უსათუოდ რუსი სიმბოლისტების გავლენის შედეგია. ამ მხრივ არ შეიძლება არ მოგვაგონდეს კ. ბალმონტის ცნობილი ლექსი:

Вечер. Взморье. Вздохи ветра.  
Величавый возглас волн...  
Чуждый чистым чарам счастья,  
Челн томлений, челн тревог...

ე. ბარნოვი პირველი იყო, რომელმაც შემოიღო და გამოიყენა ე. წ. სახელდებითი წინადადებები, როგორც სტილისტიკური ხერხი (სათანადო მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი). შემდგომ, სახელდებითი წინადადებებს იყენებდნენ ნ. ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია (ლექსი „ბერლინი“: „კურფურსტერ დამმი, თეთრი ქვევით უცხოდ ნაგები, პირქუში, ვრცელი — გველუშაბი მარად მქშინავა, ეგ საარაკო ქარავასლები, სარკოფაგები, კარიბჭეებთან — სიმბოლიურ არწივის თავი...“), დემნა შენგელაია („სანავარდო“, „ტფილისი“) და სხვები. აღარას ვიტყვიტ ნ. ზომლეტელის ლექსზე „საქართველო“, რომელიც

მთლიანად ამგვარი წინადადებითაა დაწერილი, რადგან ამ შემთხვევაში გარკვეული სტილისტიკური საშუალების გამოყენებასთან კი აღარ გეჭონდა საქმე, არამედ ერთგვარ მოხიბვლასთან რაღაც უცნაურითა და გაუგებარით.

თუ როგორი იყო რუსი სიმბოლისტების დამოკიდებულება ზმნებისადმი, ამის მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს ანდრეი ბელის წერილი ვიაჩესლავ ივანოვის შესახებ (წიგნში „Поэзия слова“). ამ წერილში ანდრეი ბელი აღფრთოვანებულ ზოტბას ასხამს ვ. ივანოვს იმის გამო, რომ მის ნაწერებში სახელებმა შთანთქეს ზმნა. ვ. ივანოვთან, — წერს ანდრეი ბელი:

«Словарь существительных образует заторы друг с другом, заторы, через которые скудно текут «безглагольные» глагольные ручейки, сдвливаемые плоскогорьями существительных... Иванов — поэт существительных; их количество превышает количество употребленных глаголов... раз в десять. 14 существительных, отягченных 7 прилагательными и 2 отглагольными формами виснет на тоненькой нити глагола «прияла» в длиннейшем отрывке: «На бледный лик под звездным покрывалом, утешным так сияючи лицом». და მოყვანილია ადგილი ვ. ივანოვის ლექსიდან, სადაც 23 სახელია და ერთადერთი ზმნა — прияла («Пейзажи словес представляются плоскогорьем существительных, где воды глаголов, мелея, лениво текут и уходят под почву»).

ყველასათვის ცნობილია ანდრეი ბელის თავისებური დიალოგები, რომლებიც შერწყმულია რიტმულ პროზად და ხშირად შერითმულიც კია.

რუსი სიმბოლისტები ამ მხრივ დიდ უკიდურესობამდე მიდიოდნენ. ცნობილია, თუ როგორ გულისწყრომას იწვევდა მათი ასეთი ექსპერიმენტები მაქსიმ გორკისას (იხ., მაგალითად, ცნობილი წერილი მაქსიმ გორკისა „О прозе“: კრებულში „М. Горький о литературе“ (М., 1953).

როგორც დავინახეთ, ანალოგიური ნიშან-თვისებები ვასილ ბარნოვის პროზასაც ახასიათებს. როგორც ჩანს, ჩვენი მწერლის სტილზე ერთგვარი გავლენა იქონია ეპოქის მოდერნისტულმა ლიტერატურულმა მიმდინარეობებმა. მაგრამ ის კია, რომ ვ. ბარნოვი არასოდეს მისულა ამ მხრივ ისეთ უკიდურესობამდე, როგორც სიმბოლისტებს ახასიათებდათ. თემატიკურად და ლიტერატურული კონცეფციის მხრივ ვ. ბარნოვს მათთან საერთო არაფერი უჩანს. ფორმის მხრივაც მო-



დერნისტული მიდრეკილებები ვ. ბარნოვთან თავისებურად გამოვლინდა. განსაკუთრებით ისტორიულ თემატიკასთან დაკავშირებით მოდერნისტული მიდრეკილებები მასში არქაულობის მოჩვენებითი სამოსლით დაიფარა. მასალის ღრმა ცოდნა, სალიტერატურო ენისა და ლექსიკის ვირტუოზული დაუფლება მას საშუალებას აძლევდა მუდამ დიდი ზომიერება გამოეჩინა და ქართული პროზის შესანიშნავი ნიმუშები მოეცა. მაგრამ მოდერნისტულმა მიდრეკილებებმა ერთგვარი ხელოვნურობის ბეჭედი მაინც დაასვა მის ენასა და სტილს.